პრეს რელიზი

დღეს 6 ნოემბერს ევროკავშირის ელჩი საქართველოში **კარლ ჰარცელი** კახეთს ეწვევა და რეგიონში ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებს დაათვალიერებს. ვიზიტის ფარგლებში ელჩი ეწვევა თელავის მუნიციპალიტეტს სადაც ევროკავშირის მიერ დაფინანსებული მერების შეთანხმება - სადემონსტრაციო პროექტების ფარგლებში **„ბიომასის ენერგია და ენერგოეფექტური ტექნოლოგიები, როგორც მდგრადი ენერგეტიკული გადაწყვეტილებები მერების შეთანხმების ხელმომწერი ქალაქებისთვის "თელავის მუნიციპალიტეტს გადასცემს 150 ათასი ლარის ღირებულების ტრაქტორებს. პროექტი თანდაფინანსებულია თელავის მუნიციპალიტეტის მიერ და მას ახორციელებს ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო.**

პროექტის მიზანია „მერების შეთანხმების" ხელმომწერი მუნიციპალიტეტის შესაძლებლობების გაძლიერება კლიმატის ცვლილების შედეგების შერბილებისა და ადგილობრივი მდგრადი ენერგეტიკული პოლიტიკის შესასრულებლად, იმ საინვესტიციო პროექტების განხორციელების გზით, რაც თანხვედრაშია მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული მდგრადი ენერგეტიკული და კლიმატის სამოქმედო გეგმებთან (მეკსგ).

პროექტის ძირითადი საქმიანობები

- ორი შერჩეული მუნიციპალური შენობის (სოფ.იყალთოსა და ქალაქ თელავის #1 საბავშვო ბაღების) სრული თბო-მოდერნიზაცია განახლებადი ენერგიის და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გათვალისწინებით; ამჟამად მიმდინარეობს იყალთოს საბავშვო ბაღის ენერგოეფექტური სტანდარტების გათვალისწინებით საინჟინრო-ტექნიკური ნახაზების შემუშავება'
- განახლებადი ენერგიის (ბიომასის) მიწოდების ჯაჭვის შექმნა ორი შერჩეული შენობის გათბობის უზრუნველსაყოფად სასოფლო-სამეურნეო ნარჩენებით (ვენახის ნასხლავით);განახლებადი ენერგიის (ბიომასის) მიწოდების ჯაჭვის შექმნა მოიცავს:
    - მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ ფართში ბიომასის საწყობის მოწყობას (ამჟამად, მიმდინარეობს საწყობის ტენიკური-საინჟინრო დოკუმენტაციის შემუშავება);
    - საწყობის შესაბამისი მანქანა-დანადგარებით აღჭურვას, კერძოდ: ვენახებში წალამის შემგროვებელი და დამაქუცმაცებელი იტალიური წარმოების მოწყობილობებისა და წალამის ტრანსპორტირებისთვის მისაბმელიანი ტრაქტორების შეძენა-მიწოდებას.
    - შერჩეული საბავშვო ბაღების გათბობისთვის, დამზადებული წალამის მიწოდებას
- შესაძლებლობების გაძლიერებისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიები (როგორიცაა მდგრადი ენერგეტიკის დღეები/კვირეული, ტრეინინგები, სემინარები და ა.შ.) სამიზნე ჯგუფებისათვის.

თელავის მუნიციპალიტეტი მერების შეთანხმების ინიციატივას მიუერთდა 2014 წ. და მის მიერ შემუშავებული 'მდგრადი ენერგეტიკის სამოქმედო გეგმა', ითვალისწინებს 2020

წლამდე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათბურის აირების 20%-ით შემცირებას კონკრეტული განახლებადი ენერგიის და ენერგოეფექტური ღონისძიებების გატარებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა შენობები, ტრანსპორტი, გარე განათება, გამწვანება, და ა.შ.

„მერების შეთანხმება“ წარმოადგენს ევროკავშირის ინიციატივას, რომელიც სათავეს იღებს 2008 წლიდან და აერთიანებს ადგილობრივ, რეგიონალურ და ეროვნულ ხელისუფლებების მმართველობებს ნებაყოფლობით განახორციელონ ევროკავშირის კლიმატისა და მდგრადი ენეგეტიკული პოლიტიკის ამოცანები. შეთანხმების ხელმომწერი ქალაქი/მუნიციპალიტეტი ვალდებულებას იღებს, მის დაქვემდებარებაში მყოფ ტერიტორიაზე ენერგოეფექტურობისა და ენერგიისგანახლებადი წყაროების გამოყენების საშუალებით 2020-30 წლისთვის 20-30%-ით შეამციროს სათბური აირების (CO2) ემისია.

საქართველოში მერების შეთანხმების ხელმომწერი 23 მუნიციპალიტეტი და თვითმმართველი ქალაქია.

ინიციატივა „EU4Energy“ მოიცავს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში: სომხეთში, აზერბაიჯანში, ბელარუსში, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში ევროკავშირის მხარდაჭერას ენერგომიწოდების, ენერგოუსაფრთხოების და ურთიერთკავშირების გაუმჯობესებისთვის და ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერგიის წყაროების დანერგვისათვის. ამ მიზნით პროგრამა აფინანსებს იმ პროექტებს, რომლებიც ხელს უწყობენ ენერგეტიკული ბაზრების რეფორმირებას, ქვეყნის ენერგოდამიკიდებულების და ენერგიის მოხმარების შემცირებას. გრძელვადიან პერსპექტივაში ეს გახდის ენერგიის მიწოდებას უფრო საიმედოს, გამჭვირვალეს და ხელმისაწვდომს, რითაც შეამცირებს ენერგეტიკულ სიღარიბეს და ენერგოგადასახადებს, როგორც მოქალაქეებისათვის, ასევე კერძო სექტორისათვის.
დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: www.EU4Energy.eu